პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 193 (9353)

პარასკევი 15 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

ფართოდ გავავრცელოთ შრომის ჩქაროსნული მეთოდები—მოწინავე (1-ლი გვერდი).
არ შევანელოთ მოსავლის აღების ტემპი (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
კომუნისტური მორალის მქადაგებელი—«პრავდის» 14/VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).
აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში (მე-2 გვერდი).
ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (მე-3 გვერდი).
გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი—ანალიზი საბჭოდ ... ფლისათვის მზადებაში (მე-3 გვერდი).
მეშახტის დღის წინ (მე-3 გვერდი).
გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

ფართოდ გავავრცელოთ შრომის ჩქაროსნული მეთოდები

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, კომუნიზმის მშენებელ ქვეყანაში შრომა წარმოადგენს ღირსებისა და სახელის საქმეს, გმირობისა და მამაცობის საქმეს. საბჭოთა წყობილებამ, წარმოების სოციალისტურმა სისტემამ ყველა პირობა შექმნა ჩვენში შრომის ნაყოფიერების ისეთი გადიდებისათვის, რომელიც წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, წარმოების კაპიტალისტურ სისტემაში. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მუშათა კლასი, ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელი აღწევს შრომის მაღალ ნაყოფიერებას. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთად კი, რადაც ის წინათ მიაჩნდათ, აქცევს **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **მამაცობისა** და **გმირობის** საქმედ“.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ნოვატორული შრომის ოსტატები ფართოდ ნერგავენ საწარმოებში შრომის სტახანოვურ მეთოდებს. ამავე დროს წარმოების მოწინავე ადამიანები, სტახანოვური შრომის ოსტატები როდი კმაყოფილდებიან მიღწეული წარმატებებით. ისინი დღითიდღე სრულყოფენ თავიანთ კვალიფიკაციას, აუმჯობესებენ საწარმოო პროცესებს, ადიდებენ ჩარხებისა და მანქანების წარმადობას, ამჭიდროებენ სამუშაო დროს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ თვითღირებულებას, იბრძვიან გამომუშავების ნორმების ორსამმაგად და უფრო მეტად შესრულებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ლითონდამმუშავებელ საწარმოებში ინერგება ლითონის ჩქაროსნული დამუშავების ნოვატორებს—სტალინური პრემიის ლაურეატების პ. ბიკოვისა და გ. ბორტკევიჩის სტახანოვური მეთოდები. ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებული სტახანოველები ი. ჭუმბურიძე, ა. მარგველაშვილი, ვ. ბაისონაშვილი, კ. ვასილიევი, გ. მუხიგულაშვილი, ნ. გავრიკოვი და ი. არაქელოვი.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ცნობილია სახელმოხვეჭილი ჩქაროსანი ხარატი ილია ჭუმბურიძე. მან მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებების განხორციელებით წინანდელთან შედარებით თითქმის ათჯერ გაადიდა თავის სამუშაო ჩარხზე ლითონის ჭრის სისწრაფე, მიაღწია სამუშაო დროის მაქსიმალურ შემჭიდროებას, შესამჩნევად გაუმჯობესა დამუშავებული პროდუქციის ხარისხი და ამავე დროს წელიწადში 150 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა სახელმწიფოს. სტახანოველი ხარატები ა. მარგველაშვილი, ნ. გავრიკოვი და კ. ვასილიევი თვითონვე ამზადებენ გაუმჯობესებულ სამარჯვებს, წარმოებაში ნერგავენ რაციონალიზატორულ ღონისძიებებს და აღწევენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. ლითონის ჩქაროსნულ დამუშავებას დაეუფლნენ ახალგაზრდა კომკავშირელი ხარატები პ. გაიდაბურა, გ. მაძღარაშვილი და გ. ლაშაური, რომლებიც გამომუშავების დღიურ ნორმებს თითქმის ორმაგად ასრულებენ.

საამქროში ჩქაროსნული მეთოდით ამუშავებენ არა მარტო მრგვალ დეტალებს, არამედ კარგ შედეგებს აღწევენ ბრტყელზედაპირიანი დეტალების ჩქაროსნული წესით დამუშავებაშიც. ბრტყელი დეტალების ჩქაროსნული მეთოდით დამუშავება წარმატებით განახორციელა სახარატო-მექანიკური საამქროს უფროსმა, გამოცდილმა ინჟინერმა გ. სიმონიანმა, რომელმაც მოახდინა სახეხი ჩარხის რეკონსტრუქცია, მასზე მოაწყო ბრტყელპირიანი დეტალების ჩქაროსნული დამუშავება, ამ გზით განტვირთა მთელი რიგი სარანდავი ჩარხები და 50-60 პროცენტით შეამცირა ასეთი დეტალების დამუშავების თვითღირებულება.

ლითონის ჩქაროსნული დამუშავების დანერგვით სახარატო-მექანიკური საამქრო 1951 წლიდან გეგმებს სისტემატურად 105-111 პროცენტით ახრულებს. ეს მაშინ, როცა წინა წლებში დავალებათა შესრულება 80 პროცენტს იშვიათად აღემატებოდა. ჩქაროსანი ხარატები თავიანთი მუშაობის გამოცდილებას გადასცემენ აგრეთვე დედაქალაქის სატრანსპორტო საწარმოების — საორთქლმავლო, საელმავლო და სავაგონო დეპოების კოლექტივებს, უზიარებენ მათ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას.

ლითონის ჩქაროსნული დამუშავების სახელმოხვეჭილი ოსტატები არიან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სტახანოველი ხარატები პ. ზუბრიცკი, ა. აგაჯანოვი, ვ. ბაქრაძე, მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი და სხვები.

სამეურნეო წლის დასაწყისიდან დღემდე 600-მდე ჩქაროსნული დნობა განახორციელეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ახალგაზრდა მეფოლადეებმა. ფოლადის ჩქაროსნულ გამოდნობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სტახანოველებმა ზ. ჯახაძემ, შ. კუხალეიშვილმა, ა. ფანცულაიამ და ი. მეტრეველმა, რომლებმაც ორი-ორნახევარი საათით შეამცირეს ფოლადის გამოდნობის ნორმით გათვალისწინებული დრო. ახალგაზრდა მეფოლადემ გ. ბერეკაშვილმა ამ დღეებში 11 საათის ნაცვლად 7 საათსა და 45 წუთში შეძლო სრულწონიანი ნადნობის მიღება.

შრომის ჩქაროსნული მეთოდების გავრცელების საქმეში მოპოვებული ამ ერთგვარი წარმატების მიუხედავად, ეს მეთოდი ჯერ კიდევ სუსტად ინერგება სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში, თვით ისეთ მოწინავე საწარმოებშიც, როგორიც ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო და კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნებია, ჩქაროსანთა რიცხვი ძალიან ნელი ტემპით იზრდება. რაც შეეხება რესპუბლიკის სხვა ლითონდამმუშავებელ საწარმოებს, მათში ჩქაროსანთა რაოდენობა ერთეულობით განისაზღვრება.

შრომის ჩქაროსნული მეთოდების ნელი ტემპით გავრცელება იმის შედეგია, რომ წარმოების ნოვატორებს ხშირად სათანადო მხარდაჭერასა და დახმარებას არ უწევენ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, საკონსტრუქტორო ბიუროებში აქა-იქ მოკალათებული ბიუროკრატები. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელებმა ექვს თვეს დააყოვნეს სტახანოველ პ. ზუბრიცკის რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა. რაც შეეხება ამავე საწარმოს მეორე ჩქაროსანი ხარატის ა. აგაჯანოვის ფრიად მნიშვნელოვან გამოგონებას, იგი მხოლოდ ორსამ ჩარხზეა განხორციელებული. აქვე უნდა აღინიშნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა არასაკმაო კავშირი და დახმარება წარმოების ნოვატორებისადმი.

დროა ბოლო მოეღოს შრომის ჩქაროსნული მეთოდების გავრცელებისადმი არაბოლშევიკურ დამოკიდებულებას. შრომის ჩქაროსნული მეთოდების ფართოდ გავრცელება დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი წარმოების ნოვატორებს, ჩქაროსანი შრომის ოსტატებს. ჩქაროსნული მეთოდებით მუშაობა უნდა გავავრცელოთ არა მარტო ლითონდამმუშავებელ საწარმოებში, არამედ წარმოების ყველა დარგში. სტახანოვური სკოლების ქსელის გაფართოებით, მუშაობის მოწინავე მეთოდების ურთიერთგაზიარებით, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით, თვითეული მუშისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნით უზრუნველვყოთ ახალ წარმატებათა მოპოვება, მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულება.

გაჩდამავალი წითელი დროშა მუხრანმშენის კოლექტივს

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივის სახელზე მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ 1952 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მუხრანმშენის კოლექტივი (მშენებლობის უფროსი ნ. გაბუნია, პარტორგანიზაციის მდივანი თ. მარტოლეკი, მშენებელთა კომიტეტის თავმჯდომარე თ. შუბლაძე) საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და მიაკუთვნეს საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მუხრანელმა მშენებლებმა გადაწყვიტეს კიდევ მეტად გააძლიერონ მშენებლობის ტემპი და უზრუნველყონ გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნება სამუშაოთა დამთავრებამდე.

არ შევანელოთ მოსავლის აღების ტემპი

კომბაინერებმა დავალება გადაჭარბებით შეასრულეს

ახმეტა. (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერმა სოლომონ რამაზაშვილმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში რუისის მტს-ის კომბაინერ ამხ. იოსებ ტიტვინიძესთან არის ჩაბმული, პური 550 ჰექტარზე მომკა, სეზონის დავალება კი 280 ჰექტარს ითვალისწინებდა. ამხ. რამაზაშვილის კომბაინი „სტალინეც-6“ შეუფერხებლად მუშაობს.

ბესარიონ ნახუცრიშვილი კომბაინ „სტალინეც-6“-ით სოფელ ოჟიოს ბერიას სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობაში მუშაობს. ნახუცრიშვილმა 450 ჰექტარზე აიღო მოსავალი. მას დიდ დახმარებას უწევენ მეშტურვალე ბ. გავარდაშვილი და ტრაქტორისტი გ. ჭიჭიაშვილი.

ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება „კომუნარით“ მომუშავეთა შორის. შეჯიბრების ინიციატორად კომბაინერი არჩილ ნადირაძე გამოვიდა. მან ვალდებულება იკისრა მოსავალი 300 ჰექტარზე აიღოს, გეგმა „220 ჰექტარს ითვალისწინებს. ნადირაძე ნაკისრ ვალდებულებას სასახელოდ ასრულებს, ყოველდღიურად 12-15 ჰექტარზე იღებს მოსავალს. ნადირაძის აგრეგატმა უკვე 270 ჰექტარი მომკა. იგი მეშტურვალე გ. მამაგულაშვილისა და ტრაქტორისტ ა. გილაძის ხელშეწყობით ზუსტად იცავს საათრბრივი მუშაობის გრაფიკს, რომელსაც ყოველდღიურად ადგენს.

„კომუნარზე“ მომუშავეებიდან ქების ღირსნი სხვებიც არიან. 220 ჰექტარის ნაცვლად, რასაც სეზონის ნორმა ითვალისწინებს, ნიკოლოზ უთურგაიძეს მომკილი აქვს 250 ჰექტარი, გაბრიელ მამუკელაშვილს — 260, შალვა ბლიაძეს — 240, იოსებ იობაშვილს — 235 ჰექტარი.

დანინაურდნენ პურის ღენვაში

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). როგორც ცნობილია, ლაგოდეხის რაიონმა პურის მკა დაამთავრა. გაჩაღებულია დაზვინვა და ლეწვა. მოწინავეა სოფელ ლელიანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ჭანტურია). მოსავალი კარგია. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 21,4 ცენტნერი „ლაგოდეხური გრძელთავთავას“ ხორბალი. ნაყოფიერად მუშაობს აფენის მტს-ის სალიწი მანქანა, რომელსაც მართავს მემანქანე გიორგი ბრეგვაძე. ის დღეში 18-19 ტონა პურს ლეწავს, გეგმა კი 12 ტონას ითვალისწინებს. სოფლის მასწავლებლები ვ. ხუციშვილი, ა. მიქაუტაძე და შ. ღვალაძე მინდვრად კოლმეურნეებთან მართავენ საუბრებს. სოფელ ლელიანის კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა.

სოფელ ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სალეწ მანქანაზე მომუშავე მემანქანე გ. ჯაჯანიძე პირველ დღეებში ცუდად მუშაობდა, დღეში 12 ტონის ნაცვლად 2-5 ტონა მარცვალს ლეწდა. ამ მემანქანეს აფენის მტს-ის უფროსი მექანიკოსი კ. გოგიჩაძე დაეხმარა. სალეწი მანქანა სრულ წესრიგში მოიყვანეს. ახლა ჯაჯანიძე მოწინავეა, დღეში 20 ტონა ხორბალს ლეწავს. სალეწი მანქანის ნაყოფიერებას ხელს უწყობს ტრაქტორისტ ლ. ტალახაძის ენერგიული შრომა. ლეწვასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ მარცვლის დახარისხებას. სათესლე ხორბლის გაწმენდაში სახელი გაითქვეს ნ. ხიდეშელმა, შ. მუმლაძემ და თ. ბოხაშვილმა. კარგად მუშაობენ თამარ, ვასილ და პავლე ლობჟანიძეები, მელიტონ და ეკატერინე მეტრეველები, ნინო ჩაგელიშვილი და არტემ მაისურაძე.

ლაგოდეხის მტს-ში ლეწვაში დაწინაურდა მემანქანე გ. ბიწაძე, რომელიც ყოველდღიურად დავალებას ორმაგად ასრულებს. მემანქანე ა. ვოლკოვმა გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში 125 ტონა ხორბალი გალეწა.

თავთავებს მინდვრად არ ყოვებენ

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წელს ბევრი იყო ჩაწოლილი თავთავი. მათი მინდვრად დატოვება დიდ დანაკარგს გამოიწვევდა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის გამოყენებას.

1.800-მდე ახალგაზრდა ენერგიულად მუშაობს კოლმეურნეობებში. სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 130 მოსწავლე თავთავის აკრეფის დღიურ დავალებას წარმატებით ასრულებს. მაგალითად, მოსწავლეები თ. პაკაცოშვილი, ი. ბოღაშვილი და მ. კობახიძე თავთავების აკრეფის ნორმებს გადამეტებით ასრულებენ.

ასევე კარგად მოეწყო ხორბლეულის დანაკარგებთან ბრძოლა სოფელ სანავარდოს კოლმეურნეობაში. აქ თავთავის ამკრეფთა ჯგუფს, რომელიც 50 მოსწავლისაგან შედგება, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ეთერ მერადაშვილი ხელმძღვანელობს.

რაიონში წარმატებით გრძელდება მუშაობა თავთავების ასაკრეფად.

თბომავალი „იოსებ სტალინი“ მოსკოვს დაბრუნდა

11 აგვისტოს 12 საათსა და 20 წუთზე დონის კალაჩიდან პირდაპირი რეისით დედაქალაქში დაბრუნდა მოსკოვის სახელობის არხის ფლოტის ფლაგმანი, სამგზავრო თბომავალი „იოსებ სტალინი“. (საკდესი).

გრანულირებული სასუქის დასამზადებელი მანქანა

ტაშკენტი. (საკდესი). ბამბის სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტების ჯგუფმა შექმნა მოძრავი აგრეგატი, რომლითაც მზადდება ორგანულ-მინერალური სასუქების გრანულები.

ახალი მანქანა, რომლითაც დღეში შეიძლება 8 ტონამდე სხვადასხვა ფორმისა და ზომის გრანულები დამზადდეს, ათავისუფლებს 15 კაცს. მას აქვს ელექტრომოტორი, ხოლო თუ საჭირო გახდა, შეიძლება ტრაქტორით ამუშაონ.

მანქანამ წარმატებით გაიარა საწარმოო გამოცდა.

საპატიო დაკვეთები ვადამდე სრულდება

სტალინო. დონეცელი მეტალურგები ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხანა „აზოვსტალის“ მგლინავებმა ვადაზე ბევრად ადრე გაუგზავნეს ათი ვაგონი შველერის კოჭები კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას.

სექტემბრის ანგარიშში მუშაობს მგლინავთა ბევრი ბრიგადა ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც ასრულებს „სტალინგრადჰიდროშენის“ დაკვეთებს.

საპატიო დაკვეთების წარმატებით შესრულებისათვის მაკეევკის კუიბიშევის სახელობის ქარხნის კოლექტივს მიენიჭა უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინის საოლქო კომიტეტისა და პროფკავშირთა საოლქო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. (საკდესი).

ქარხანა „კრასნოე სორმოვოში“

გორკი. ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ კოლექტივი ასრულებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს.

გუშინ, ვადაზე ერთი კვირით ადრე, დამზადდა 15 ბურთობრივი შესაერთებელი კახოვკის ჰესის მშენებლობაზე მომუშავე მიწისმწოვი მანქანებისათვის.

სორმოველები დიდ დახმარებას უწევენ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს. ისინი მძლავრ ფრეზებს ამზადებენ იმ მძიმე ქვიშიანი გრუნტების გასაფხვიერებლად, რომლებიც ვოლგის მშენებლობაზე ქვაბულების თხრის დროს გვხვდება.

დიდი აღფრთოვანებით შეუდგა ქარხნის კოლექტივი სამგზავრო სწრაფმავალი დიზელელექტროხომალდის აგებას მოსკოვ-დონის როსტოვის ნაზისათვის. ახალი კომფორტული ექსპრესი მწყობრში ჩადგება 1953 წელს.

13 აგვისტო. (საკდესი).



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. სურათზე: № 8 რაბი ზემო მისადგომის მხრიდან.

ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

საბინაო მშენებლობა ჩინეთში

პეკინი, 13 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი შანხაიდან იუწყება:

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება განხორციელება საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამისა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ბინებით უზრუნველყონ 20 ათასი მუშის ოჯახი. 1 ივლისს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის 31-ე წლისთავის დღეს, ათასზე მეტი მოწინავე მუშა ოჯახით გადავიდა 167 ახალ ორსართულიან სახლში.

ივლისში ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის ქალაქ უსის გარეუბნებში დაიწყო კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომლებშიც ჩასახლდება 10 ათასი მუშა და მათი ოჯახები.

ახალ საცხოვრებელ რაიონებში მომავალი წლის გაზაფხულზე სამი პარკი გაშენდება. განზრახულია აშენდეს საავადმყოფო, კოოპერატივი, საბავშვო ბაღა, სკოლა მუშათა ბავშვებისათვის, კლუბები.

საგანმანათლებლო მუშაობა ბულგარელ მშრომელთა შორის

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო სამკითხველოების კავშირმა დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გაიაღა მშრომელთა შორის.

სახალხო სამკითხველოების კავშირთან შექმნილი ლექტორთა ცენტრალური ჯგუფი სისტემატურად აწყობს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამეცნიერო და კულტურულ თემებზე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ლექტორთა ცენტრალური ჯგუფის ძალებმა წაიკითხეს 1.800-ზე მეტი მოხსენება.

ბულგარელ მშრომელებს განსაკუთრებით აინტერესებთ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი მოხსენებები და ლექციები. ამ თემებს მიეძღვნა მიმდინარე წელს გამართული ყველა ლექციის ერთი მესამედი. დიდი პოპულარობით სარგებლობს მოხსენებები და საუბრები ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის—ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების აშენების გეგმის შესრულების წარმატებათა შესახებ. მიმდინარე წელს 700-ზე მეტი მოხსენება მიეძღვნა მშრომელთა აღზრდას მხურვალე პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისადმი, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის — ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

წიაღისეულის ძიება უნგრეთში

ბუდაპეშტი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად დიდი მუშაობა წარმოებს იმ წიაღისეულის ახალი საბადოების საძიებლად, რაც საჭიროა სწრაფად განვითარების გზაზე მყოფი მრეწველობისათვის. საბჭოთა მეცნიერების გამოცდილების მიხედვით ადგენენ უნგრეთის საერთო გეოლოგიურ რუკას.

ხუთწლედის მანძილზე უკვე აღმოჩენილია წიაღისეულის მთელი რიგი ახალი საბადოები, რომელთა ნაწილს უკვე იყენებენ. უნგრეთის ქვანახშირის რაიონების ფართობი ომამდელთან შედარებით ერთიორად გადიდდა. ნაპოვნია ფერადი ლითონების მადნის საბადოები, უკვე მომავალ წელს დაიწყება ტყვიისა და თუთიის ამოღება, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის ამ ლითონების საჭიროება სავსებით დაკმაყოფილდება საკუთარი ნედლეულით.

ამას წინათ დაიწყო მარგანეცის საბადოების დამუშავება. იწყება ბოქსიტის საბადოების ახალი კარიერების დამუშავება; ბოქსიტით უნგრეთი მეტად მდიდარია. ექვს ახალ რაიონში იღებენ ნავთსა და გაზს. ნაპოვნია ისეთი მასალები, რომელთა არსებობის შესახებ უნგრეთის ტერიტორიაზე არაფერი იცოდნენ, როგორც, მაგალითად, ფლუორიტი, თაბაშირი და სხვა.

წიაღისეულის ძიებაში უნგრელებს უდიდეს დახმარებას უწევენ საბჭოთა სპეციალისტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

11 აგვისტოს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „წლის პირველ ნახევარში ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შედეგების შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. გილაშვილმა.

მომხსენებელმა პლენუმს აცნობა, რომ თბილისის მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულა. მაგრამ ამ საერთო მაჩვენებლის იქით იფარება სერიოზული ნაკლოვანებანი დედაქალაქის მრეწველობის მუშაობაში. ნახევარი წლის გეგმა არ შეესრულებია 28 საწარმოს, მათ შორის ისეთ მსხვილ საწარმოებს, როგორიც არის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ლითონის კონსტრუქციების ქარხანა, ტყავის № 2 ქარხანა, № 1 და № 7 სამკერვალო ფაბრიკები, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა, № 1 საკონდიტრო ფაბრიკა და რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა საწარმოები. ნახევარი წლის გეგმები ვერ შესრულეს აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების მთელმა რიგმა საწარმოებმა: ლოკომოტივ-სარემონტო ქარხანამ, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანამ, კერამიკის კომბინატმა და სხვებმა.

თბილისის მთელ რიგ საწარმოთა ჩამორჩენა პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების შედეგია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამაში ბრალი მიუძღვით პარტიის საქალაქო კომიტეტსა და რაიონულ კომიტეტებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლეს უზრუნველყოფა თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულება.

ამხ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ სამინისტროები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან ჩამორჩენილ ფაბრიკა-ქარხნებს, ცუდად ზრუნავენ ნედლეულითა და მასალებით მათი მომარაგებისათვის, ხოლო საწარმოთა დირექტორები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ამასთან მომხსენებელმა ცოტა ილაპარაკა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ ისინი ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლს, როგორ რაზმავენ კომუნისტებს საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად, როგორ ზრდიან საწარმოთა კოლექტივს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

გასულ ნახევარ წელიწადში თბილისის მრეწველობამ მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა. ბევრრამ გაკეთდა, მაგალითად, ახალი ტიპის ჩარხების ასათვისებლად კიროვის სახელობის ქარხანაში, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა 6 თვის გეგმა. ნახევარი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას მიაღწიეს აგრეთვე მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ, პლასტმასის ქარხანამ, ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკამ, სპილენძსაგლინავმა ქარხანამ, საორთქლმავლო დეპომ და სხვებმა.

თბილისის საწარმოთა ერთი ნაწილის მუშაობაში სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ურიგდებიან წუხდებული და არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ლიბერალური დამოკიდებულება წუნის მკეთებლებისადმი, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს.

ცალკეულ საწარმოებს დიდი ზარალი მოსდით გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების შედეგად. პარტიული ორგანიზაციები და საწარმოთა ხელმძღვანელები ღრმად არ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას.

მომხსენებელმა პლენუმს მოუთხრო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საქალაქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანს განახორციელა. ამას წინათ საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელმაც გამოაკვეთა არსებითი ნაკლოვანებანი ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ღავთაძემ პლენუმს უამბო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება საწარმოში პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. გორდეზიანმა სამართლიანად ცნო სამინისტროს კრიტიკა და შეჩერდა ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

მდიდარი ციფრობრივი მაჩვენებლები მოიყვანა თავის გამოსვლაში 26 კომისრის სახელობის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. ო. ფირცხალავამ. ეს ციფრები მოწმობენ რაიონის მთელ რიგ საწარმოთა სერიოზულ ჩამორჩენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ფირცხალავამ ძალიან ცოტა ილაპარაკა საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობაზე.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხო ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტატიშვილი. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაიკომის მიერ მოწყობილ თათბირს, რომელიც მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლის საკითხს მიეძღვნა.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. რობაქიძემ გააკრიტიკა საქალაქო კომიტეტი საწარმოებში კადრების მოუფიქრებლად შერჩევისა და განაწილებისათვის. ამხ. რობაქიძის გამოსვლიდან ცხადი გახდა, რომ მსუბუქი მრეწველობის თბილისის საწარმოებში ბევრია ნაკლი, რაც პარტიის საქალაქო კომიტეტის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორმა ამხ. რ. ნიკოლაიშვილმა ილაპარაკა საწარმოს ამოცანებზე პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით. ამხ. ნიკოლაიშვილმა სწორად შენიშნა, რომ ფაბრიკა, რომლის მუშაობა დამოკიდებულია მრავალ მიმწოდებელზე, სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის მთავარი სამმართველოსაგან.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. კოპალიანმა გააკრიტიკა ის სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც არ ზრუნავენ ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათ „ულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. მან აღნიშნა, რომ ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანაში და სხვა საწარმოებში კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებით ცუდად ეწევიან პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ახალგაზრდობაში.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ზედგინიძე. მან აღნიშნა, რომ ბევრ საწარმოში მუშაობის გარდაქმნა ნელა, ზანტად მიმდინარეობს. ძალიან დიდია ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. არის არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევები, აღმოფხვრილი არ არის მტაცებლობა და საბჭოთა კანონიერების სხვა დარღვევები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში განიხილა ზოგიერთ ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის, სოციალისტური საკუთრების მტაცებლებთან და წუნდებული პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლის საკითხები. მაგრამ მიღებული ღონისძიებანი ვერ ამოწურავენ მთელ იმ დიდ მუშაობას, რომელიც პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გაშალონ ჩამორჩენილი საწარმოების მოწინავეთა დონემდე წამოწევისათვის. საქალაქო კომიტეტმა, — თქვა ამხ. ზედგინიძემ, — უნდა გააძლიეროს ყურადღება კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი, ფართოდ დაუჭიროს მხარი ქვემოდან მომდინარე ბოლშევიკურ კრიტიკას. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ აუცილებელია სამინისტროებმა გააძლიერონ საწარმოებისადმი დახმარება.

— თბილისის სამრეწველო საწარმოთა წინაშე, — თქვა ამხ. ზედგინიძემ, — წლის მეორე ნახევარში ახალი, დიდი ამოცანები დგას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მიაღწევს ქალაქის მრეწველობის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, თვითეული საწარმოს მიერ 1952 წლის გეგმის წარმატებით შესრულებას.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. მელქაძე, კ. ბუჯიაშვილი, ვ. ბაქრაძე, კ. ციმაკურიძე, ი. კოკლამაზაშვილი.

აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ჩაის ფოთოლის კრეფაში

ბეჯითად შრომობენ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხეცერის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის კრეფის სამი თვის დავალება 29 ივლისისათვის გაანღდა, ივნისსა და ივლისში დაფარა მაისის დანაკლისი 81 ტონის რაოდენობით. გაძლიერებული ტემპით კრეფენ ჩაის ფოთოლს აგვისტოშიც.

კრეფაში სეზონის დასაწყისიდანვე წინ მიდის მეხუთე აგროგანყოფილება, რომელსაც აგრონომი ე. პეტრუსოვა ხელმძღვანელობს. აქ სამი თვის დავალება შესრულებული აქვთ 112,7 პროცენტით. განსაკუთრებით გამოირჩევიან № 21 და № 22 ბრიგადები, რომლებსაც ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული. მათ მიჰყვება მესამე აგროგანყოფილების № 15 ბრიგადა (ხელმძღვანელი შ. ხარბედია).

მეურნეობის მუშაკთა კოლექტივი, რომელმაც მახარაძელთა მმართველის განხილვისას გეგმის გადამეტებით 100 ტონა ჩაის მოკრეფა იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა გამოიწვია, უნდა ვიფიქროთ, სეზონს წარმატებით დაამთავრებს.

მოვანესრიგოთ შრომა

აბაშის რაიონის მეჩაიეთა წინაშე საპატიო ამოცანა დგას. წელს გეგმით უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ვერ ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის დავალებას. კოლმეურნეობებში არ იცავენ კრეფის წესებს, რაც მთავარია, ყოველდღიურად არ კრეფენ ფოთოლს და ამის გამო ჩამორჩნენ. 10 აგვისტოსათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 36,7 პროცენტით.

სოფელ წყემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სეზონის განმავლობაში გეგმით უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 28.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაგრამ დავალების მთლიანად შესრულებისათვის თავს არ იწუხებენ. მოკრეფილი ფოთლიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე ხარისხისაა, მეჩაიეთა ბრიგადებში და რგოლებში მოუწესრიგებელია შრომა.

ცუდად მუშაობენ ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად სოფელ ნორიოს კოლმეურნეობაში. შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად აქ უმნიშვნელო პროცენტით შესრულდა ფოთლის კრეფის დავალება. კოლმეურნეობაში მუშახელი მთლიანად არ არის გამოყენებული. შემოსული ფოთოლი უხეშდება, ჩაის ფოთლის კრეფის წესები ირღვევა. მსგავსი მდგომარეობაა ძველი აბაშის ბერიას სახელობის, ზანათის კაგანოვიჩის სახელობის და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

აბაშის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას ჩაის ფოთლის კრეფაში.

ი. ბუხაიძე.

როცა აგროწესების შეუფასებლობას იჩენენ

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ივლისში სამშობლოს დააკლეს 707 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 10 აგვისტოსათვის რაიონს ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 62,2 პროცენტით. ჩამორჩენა გრძელდება აგვისტოშიც.

რა იწვევს ჩამორჩენას ჩაის ფოთლის კრეფაში? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომა მოუწესრიგებელია, დანერგილი არ არის განუწყვეტელი, ყოველდღიური კრეფა, რაც დიდძალ დანაკარგებს იწვევს, არასამკოდ ზრუნავენ პლანტაციების მოვლისათვის. რამდენიმე მაგალითი: სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმაში“ (თავმჯდომარე რ. ტაკიძე) თითქმის ყველა ბრიგადასა და რგოლში უხეშად არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესებს.

კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. მარტო ივლისში გაცდა 218 კაცდღე. სამუშაოს აცდენენ არა მარტო რიგითი კოლმეურნეები, არამედ მერგოლურობიც. მერგოლური რ. გოლიაძე აგვისტის პირველ ხუთდღიურში სრულებით არ გასულა სამუშაოზე. პირველი ბრიგადის წევრმა მ. მეკავანაძემ ცუდად დაამუშავა პლანტაცია, დროულად არ მოკრიფა შემოსული ფოთოლი და დაუშვა დიდი დანაკარგები. პლანტაციების მოვლისა და კრეფისადმი ასევე უპასუხისმგებლობას იჩენენ ხ. მგალობლიშვილი, მ. გოხიძე, მ. რომანაძე, ა. მეკავანაძე და სხვები.

კრეფის მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სოფელ ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოთოლი დროზე არ მოკრიფეს. ამის გამო დანაკარგი დიდია. განსაკუთრებით ჩამორჩა ის ბრიგადა, რომელსაც რ. გიორგაძე ხელმძღვანელობს.

ჩაის კრეფისადმი უდარდელობას იჩენენ ლომმანტრუსტის ცეცხლოურის საბჭოთა მეურნეობაში. 6 და 7 აგვისტოს ფოთოლს ხელაღებით კრეფდნენ. მოკრეფილ ფოთოლში ბლომად აღმოჩნდა ხეში ფოთოლი და ბალახიც კი. მეურნეობის დირექტორი ამხ. ძალაძე ქმედითი ზომებს არ იღებს პლანტაციების სარეველა ბალახებისაგან გასაწმენდად და ჩაის კრეფის წესების დასაცავად.

ზოგან ყურადღება არ ექცევა ფოთლის ხარისხს. სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობაში მოკრეფილი ფოთლიდან მეორე ხარისხისაა 30 პროცენტზე მეტი. კრეფის ტემპიც დაბალია. აგვისტოში ყოველდღიურად იმის ნახევარსაც კი ვერ კრეფენ, რასაც გეგმა ითვალისწინებს.

ჩამორჩენის აღსაკვეთად პირველადი პარტიული ორგანიზაცია ვერ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს. საგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მივიწყებულია, არც ერთ ბრიგადაში საველე გაზეთი არ გამოდის. უგულებელყოფენ ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების პროპაგანდას და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ წყავროკას, ლეღვას, კვირიკეს, ულიანოვკის, ხუცუბნის, ქვედა კვირიკეს კოლმეურნეობებშია.

ფოთოლი კარგად არის შემოსული. საჭიროა შრომის სწორად მოწყობა, აგროწესების ზუსტად დაცვა ჩაის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ტ. ტრაპაიძე.

აბ აუფასებენ დროის ფაქტორს

შრომის მოუწესრიგებლობისა და აგროწესების დაუცველობის გამო წულუკიძის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფა ჩამორჩა. 10 აგვისტოსათვის წლიური დავალება შესრულებული იყო მხოლოდ 49,7 პროცენტით. სოფელ გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უნდა მოკრიფონ 63.818 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაგრამ დავალება არ სრულდება. ივლისში ჩაის ფოთოლი უხვად იყო შემოსული. კოლმეურნეობის გამგეობის და უწინარეს ყოვლისა მისი თავმჯდომარის კ. ანდრიაძის შეუფუნარებელი უდარდელობის შედეგად ეს ხელსაყრელი პირობები ვერ გამოიყენეს, კრეფის დაგვიანების გამო ფოთლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუხეშდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრიაძე და აგრონომი შალამბერიძე შეურიგდნენ ფოთლის დანაკარგს.

ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ზოგან ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა პლანტაციების მოვლა-პატრონობას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სისტემატურად არღვევენ პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ვადებს. პლანტაციების პირველი და მეორე თოხნა დაუმთავრებელია და კულტივაციაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის გამო პლანტაციების ნაწილი ეკალ-ბარდით არის დაფარული.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების ზოგიერთი მუშაკის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად უხეშად ირღვევა სამუშაოთა შესრულების ვადები და ხარისხი. გაჭიანურდა პლანტაციებში სასუქის შეტანა, ეს მაშინ, როცა რაიონის კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან სასუქით.

ჩაის ფოთლის კრეფასა და პლანტაციების მოვლა-პატრონობაში სერიოზულ ჩამორჩენას ისიც იწვევს, რომ ზოგან ბუჩქების 5 დღით და მეტი ვადით „შესვენების“ მავნე პრაქტიკას მიმართავენ, აგრეთვე ის, რომ მოუწესრიგებელია კოლმეურნეთა შრომა, ზოგან სისტემატურად ირღვევა დისციპლინა. დაბალია შრომის ნაყოფიერება. ბეტწილ კოლმეურნეობებში საველე გაზეთები არ გამოდის. მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების გასავრცელებლად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებით უნდა მივაღწიოთ კრეფის ტემპის მკვეთრად გაძლიერებას.

აგრონომი ვ. ქარქაშაძე.

კომუნისტური მორალის მქადაგებელი

„პრავდის“ 14/VIII მოწინავე

ჩვენი პარტია ყოველდღიურად ზრუნავს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, მისი იდეური და მხატვრული დონის ამაღლებისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებანი უზრუნველყოფენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებით განვითარებას, შთაგონებენ მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს შექმნან ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ჩვენი, საბჭოთა ეპოქის მოვლენებისა და ადამიანთა შრომის იდეური აზრი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა ექვსი წლის წინათ — 1946 წლის 14 აგვისტოს, ისევე როგორც პარტიის სხვა გადაწყვეტილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი საბჭოთა კულტურის აღმავლობაში.

საბჭოთა ლიტერატურის ძალა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა, — აღნიშნულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, **იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.**

პარტიამ მოუწოდა მწერლებს ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეისწავლონ სინამდვილე, სრულყონ თავიანთი ოსტატობა, შექმნან საბჭოთა ხალხის შესაფერისი ახალი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებნი. ჩვენი მწერლების წინაშე დასახული იყო ამოცანა გაეძლიერებინათ ბრძოლა უიდეობისა და აპოლიტიკურობის წინააღმდეგ, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ქადაგების წინააღმდეგ, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. მწერალთა უპირველესი მოვალეობაა მხატვრული სიტყვით გაუწიონ პროპაგანდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ იდეებს.

საბჭოთა ლიტერატორებმა, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებით ხელმძღვანელობენ, განვლილი ექვსი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვეს. მათ შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებნი ფრონტზე და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში საბჭოთა ადამიანების გმირობის შესახებ, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ. ჩვენი მწერლების, შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია უცხო ქვეყნებში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თემებს. ომისშემდგომ წლებში ორასამდე საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს სტალინური პრემიები მიენიჭა.

ჩვენს ლიტერატურაში ძირითადი, წამყვანი ძალა გახდა თანამედროვეობის თემა, მთავარი გმირები გახდნენ საბჭოთა ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები. ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატები წერენ კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ახალი საბჭოთა ადამიანის მდიდარ შინაგან სამყაროზე, მის მაღალ მორალზე, შესანიშნავ თვისებებზე. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ღრმად გამსჭვალულია ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ძმური მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეებით, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი იდეებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ განსაკუთრებით არის ხაზგასმული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების დიდი მნიშვნელობა და მათი ამოცანები. **ჩვენი ჟურნალები საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი საშუალებაა საბჭოთა ადამიანების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ამიტომ უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს, — მისი პოლიტიკით.**

განვლილი ექვსი წლის მანძილზე ლიტერატურულმა ჟურნალებმა შესაბამისი წარმატებანი მოიპოვეს. ამ ჟურნალებში გამოქვეყნებულია საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლების საკმაოდ ბევრი ნაწარმოები. ჟურნალები ბეჭდავენ მოძმე რესპუბლიკების მწერლების პროზას, ლექსებს, პიესებს, რომლებიც მოწმობენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობას.

საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითს წარმატებებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც კოსმოპოლიტიზმის ახალი, კომუნისტური მორალის მქადაგებელია, შთამაგონებელი მაგალითია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლებისათვის, კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლებისათვის. ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს სტალინური პრემიები მიენიჭათ უცხოელ მწერლებს, რომ საზღვარგარეთ გამოქვეყნდა მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ამხილებენ ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს, ნათლად მოწმობს, რომ მთელ მსოფლიოში სულ უფრო იზრდებიან და მტკიცდებიან მოწინავე რეალისტური ხელოვნების ძალები.

პარტია და ხალხი, მხურვალედ მიესალმებიან რა საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს მწერალთა შემოქმედებაში. პარტიამ ხელი შეუწყო ეგრეთწოდებული უკონფლიქტობის თეორიის მახეყიერობის გამოაშკარავებას, თეორიისა, რომელსაც უკანასკნელ ხანამდე ჰქონდა გასავალი ლიტერატორთა ერთ ნაწილში. ამ ცრუთეორიამ დიდი ზიანი მოიტანა, ყალბი გზებით წარმართა დრამატურგთა შემოქმედება. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ნაკლოვანებათა და სიძნელეთა ჩვენებისა. ნაკლოვანებანი უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ გოგოლები და შჩედრინები გვჭირდება.

პარტია მოუწოდებს მწერლებს ზედმიწევნით შეისწავლონ ცხოვრება მის რევოლუციურ განვითარებაში, წერონ სიმართლე, არ შეუშინდნენ სიმართლეს, დაგვანახვონ ახალი, რომელიც წარმოიშობა, მის ბრძოლაში ძველის, მომაკვდავის წინააღმდეგ, თავიანთი შემოქმედებით ხელი შეუწყონ ცხოვრებაში ახლის გამარჯვებას, განუხრელად სრულყონ მხატვრული ოსტატობა.

ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამორჩება კომუნიზმის მშენებელი მილიონობით საბჭოთა ადამიანის გმირული საქმიანობის, მდიდარი შინაგანი სამყაროს ასახვაში. მხატვრებს მოეთხოვებათ უფრო ღრმად და ყოველმხრივ დაგვანახვონ, თუ რამდენად გაიზარდა რიგითი საბჭოთა ადამიანი, ისტორიაში რა უმაგალითო საქმეებს ახორციელებს იგი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებით „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ დაავალა რედაქციებს უზრუნველყოთ ჟურნალების მაღალი იდეური და მხატვრული დონე. დადგენილებაში დაგმობილ იქნა ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალების რედაქციებში მაშინ არსებული პირადუალი, ძმაბიჭური დამოკიდებულება, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ლიტერატურის განვითარებას. ამ უკანასკნელ წლებში ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მაგრამ ზოგიერთ ჟურნალში დღემდე არ არის აღმოფხვრილი მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. ზოგჯერ ახლაც ვხედებით უპრინციპობას ცალკეულ ნაწარმოებთა შეფასებაში, ქვეყნდება იდეურად მანკიერი გამოსვლები ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. ჟურნალებში იბეჭდებოდა იდეურად მანკიერი ნაწარმოებები, სტატიები, რომლებიც წარმოადგენდნენ ლიტერატურულ პროცესზე კოსმოპოლიტურ შეხედულებათა რეციდივებს, რაპაპელთა ვულგარული თეორიების რეციდივებს.

ლიტერატურის წარმატებით განვითარების საწინდარია პრინციპული ლიტერატურული კრიტიკა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე მოცემულია ჩვენი ლიტერატურის განვითარების გაშლილი პროგრამა, ზუსტად არის განსაზღვრული ლიტერატურული კრიტიკის საბრძოლო ამოცანები. შეუწყნარებელია, რომ პრესაში უშვებენ ან მეტისმეტად აქებენ უვარგის ნაწარმოებებს. ასეთი ლიბერალიზმი, რომლის დროსაც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები მსხვერპლად ეწირება ძმაბიჭურ ურთიერთობას და რომლის დროსაც კრიტიკას ახშობენ, იმას იწვევს, რომ მწერლები აღარ მუშაობენ თავიანთ სრულყოფაზე, კარგავენ ხალხის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე, პარტიის წინაშე თავიანთი პასუხისმგებლობის შეგნებას, წინ აღარ მიდიან.

ჩვენ გვესაჭიროება ღრმა, პრინციპული, კვალიფიციური კრიტიკა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან გააშუქებს ლიტერატურის განვითარების პრობლემებს. ლიტერატურულმა კრიტიკამ გამბედულად უნდა დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, ნიჭიერს და გადაჭრით გაილაშქროს ყოველივე ჩამორჩენილის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის ლიტერატურის წინსვლას.

ამავე დროს პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ ქვეყნდება საკმაოდ ბევრი ზერელე და მცდარი კრიტიკული სტატიები და რეცენზიები. მათი ავტორები არ იცნობენ ცხოვრებასა და იმ პრობლემებს, რომლების შესახებაც წერას ხელს ჰკიდებენ. მწერალთა კავშირის კრიტიკის კომისია დღემდე მეტად სუსტად მუშაობს. მწერალთა კავშირში კრიტიკულ განხილვის დროს ჯერ კიდევ ხშირად აქებენ მდარე ხარისხის, ზოგჯერ კი აშკარად უხეირო ნაწარმოებებს. ლიტერატურული კრიტიკა ნაკლებად მუშაობს მხატვრული ოსტატობის პრობლემათა დამუშავებაზე.

ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა საყოველთაო ყურადღებითა და მხარდაჭერით სარგებლობს. საბჭოთა ხალხს უყვარს და აფასებს ლიტერატურას, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე მართლად გვიჩვენებს ჩვენი სამშობლოს მდიდარ და სისხლსავსე ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანების დაძაბულ და თავდადებულ შრომას.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარება, ბრძოლა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერებისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მათ უნდა აღზარდონ მწერალთა კადრები, სერიოზული ყურადღება მიაქცინონ ადგილობრივი ჟურნალებისა და ალმანახების, ადგილობრივი შემოქმედებითი გაერთიანებების მუშაობას. მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორი

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა შეჯიბრება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორი ათეული წელია გრძელდება ორი მოძმე რესპუბლიკის—საქართველოსა და უკრაინის მარგანეცის მძლავრი საბადოების მაღაროელთა ტრადიციული შეჯიბრება. ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის.

ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელთა შორის საქმიანი და მეგობრული მიწერ-მოწერაა. მაღაროელები ერთმანეთს მოუთხრობენ თავიანთ გამოცდილებაზე, მოპოვებულ წარმატებებზე.

ახლახან ნიკოპოლიდან ჭიათურაში მიიღეს წერილი. მოძმე უკრაინელი მაღაროელები იწერებიან სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგებზე. აი ნიკოპოლელ მაღაროელთა ზოგიერთი მაჩვენებელი: ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტს მარგანეცის გამოღების ექვსი თვის დავალება შესრულებული აქვს 96,3 პროცენტით, სასაქონლო მარგანეცის დამზადებისა—99,5 პროცენტით, ხოლო პირველხარისხოვანი მარგანეცისა — 99,1 პროცენტით.

როგორია ჭიათურელთა მაჩვენებლები? მარგანეცის ტრესტმა მადნის გამოღების ექვსი თვის დავალება შესრულა 104,2 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა—107,1 პროცენტით, ხოლო პირველხარისხოვანი მარგანეცის დამზადებისა — 99,1 პროცენტით.

სხვა მაღაროებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაბმული არიან აგრეთვე ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროები. ისინი ეჯიბრებიან ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის, მაქსიმოვის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებს. როგორც მოყვანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, წინ მიდიან ჭიათურელი მაღაროელები. მათ ნაყოფიერად იმუშავეს ივლისშიც და 24 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის დავალება.

ჭიათურელმა მაღაროელებმა ს

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი რუმინეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავისათვის

ბუქარესტი, 14 აგვისტო. (საკდესი). ბუქარესტის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ფაშისტური უღლისაგან საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავისათვის, რაც 23 აგვისტოს აღინიშნება. ერთ-ერთ მოწოდებაში ნათქვამია: „გუმარჯოს დიდ ძლევამოსილ საბჭოთა კავშირს — რუმინელი ხალხის განმათავისუფლებელს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბასტიონს! მხურვალე მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხალხს უდიდესი მუდმივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დახმარებისათვის!“.

მოწოდებანი შეიცავენ მისალმებას საბჭოთა არმიისა და საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი (ბოლშევიკებისა).

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს რუმინელ მშრომელებს თავიანთი შრომით ხელი შეუწყონ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო ფრონტის განმტკიცებას და იბრძოლონ ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა — ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ.

მოწოდებებში აღნიშნულია, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა არის სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მშვიდობის, მეგობრობისა და კაშირის პოლიტიკა, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში ნათქვამია: დიდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

სამოლოო მოწოდებაში ნათქვამია: „მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშით წინ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენებისაკენ!“.

იუნაიტედ პრესის სააგენტო კორეაში ომის გაუარესებისათვის გენერალ კლარკის მზადების შესახებ

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰობრიტი იუწყება, სარწმუნო წრეებში განცხადეს, რომ გენერალმა კლარკმა ერთგვარი ცვლილებები მოახდინა „გაერთიანებული ნაციების ჯარებში“, რითა „უკეთ მოემზადოს ფართო ომისათვის კორეაში, თუ ჩაიშალა დაზავების შესახებ მოლაპარაკება“.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, გუშინ ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატიდან ბევრი უმაღლესი მოხელის ადგილგადანაცვლების შესახებ. კაიროს გენერალ-გუბერნატორად დანიშნულია აბდელ ჰადი ჰაზალი, რომელსაც სუეცის არხის ზონის ჩრდილოეთ ნაწილის გენერალ-გუბერნატორის პოსტი ეკავა.

ინგლისი ჯარებს გზავნის ეგვიპტეში

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სუეტჰემპტონიდან გადმოგვცემს, რომ 13 აგვისტოს ინგლისის ქვეითი პოლკის „შერვუდის მეტყველთა“ ბატალიონი 741 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით სუეტჰემპტონიდან სუეცის არხის ზონაში გაემგზავრა სატრანსპორტო გემ „ემპაირ კენით“.

ფეიქართა გაფიცვა ეგვიპტეში

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ალექსანდრიიდან იუწყება, რომ დღეს კაფრ-ედ-დავარში (ალექსანდრიის გარეუბანი) გაგზავნეს ეგვიპტის არმიის ნაწილები იმ შეტაკების შემდეგ, რომელიც მოხდა საფეიქრო ფაბრიკის გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის. პოლიციამ სროლა ატეხა, რითა გაეფანტა გაფიცულნი, ამასთან ბევრი მუშა დაიჭრა. რამდენიმე მუშა მოკლულ იქნა. ეგვიპტის არმიის ნაწილებმა გადაჭრეს გზები ცეცხლწაკიდებული საფეიქრო ფაბრიკის გარშემო მდებარე რაიონში, აგრეთვე ის გზა, რომელიც ალექსანდრიას აერთებს კაფრ-ედ-დავართან.

უკანასკნელი ცნობებით, ნათქვამია რეიტერის ცნობაში, ქუჩის ბრძოლების დროს მოკლულ იქნა 5 მუშა და ერთი პოლიციელი. ქუჩებში დაიან პოლიციელთა მანქანები. პოლიციელებსა და საფეიქრო ფაბრიკის მუშებს შორის შეტაკების შედეგად მსხვერპლი არის აგრეთვე ალექსანდრიის მეორე ინდუსტრიულ გარეუბანში — ჰაჯარემ-ბეიში. აქ ფაბრიკის რამდენიმე ათასმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა კაფრ-ედ-დავარის ფაბრიკის გაფიცულ ფეიქრებთან სოლიდარობის ნიშნად. იქაც სამხედრო ნაწილები გაგზავნეს. ჯარისკაცები იცავენ დიდ შენობებსა და უცხოთის საკონსულოთა შენობებს.

სპექსოკსართავი ფაბრიკა მისრი, სადაც გაფიცვა დაიწყო, ყველაზე დიდი ფაბრიკაა შუა აღმოსავლეთში და უზრუნველყოფილია ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით. ამ ფაბრიკის 30 ათასი მუშა გაიფიცა ორი დღის წინათ ბრძოლის შემდეგ, რაც რამდენიმე მუშა დაითხოვეს პოლიტიკური მოტივებით.

გაფიცულთა დახვრეტა ეგვიპტეში

კეირუთი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ცნობილია, ალექსანდრიიდან 25 კილომეტრზე მდებარე კაფრ-ედ-დავარის საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა გაფიცეა გამოაცხადეს და მოითხოვეს ხელფასის გადიდება და შრომის პირობების გაუმჯობესება. ეგვიპტის ხელისუფლებამ ფაბრიკის რაიონში გაფიცვის ჩასახშობად პოლიციისა და ჯარების დიდი ძალები გაგზავნეს. გაფიცულთა და პოლიციელთა შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც არიან მოკლულნი და ბევრი დაჭრილი.

რეიტერის სააგენტოს ალექსანდრიელი კორესპონდენტის ცნობით, მოკლულია 10 მუშა და 2 პოლიციელი, დაჭრილია 200 კაცი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 13 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

გასული დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის წვრილ ქვეგანაყოფთა იერიშებს.

დღეს მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

ფრანგული პრესა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მონაწილე ქვეყნების უთანხმოების შესახებ

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დროს პრესის ყურადღების ცენტრშია ევროპოწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ კარნახით, დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია ბელგიის არმიაში და მოსახლეობის მასებში. ბელგიელ მშრომელთა 9 აგვისტოს საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც დაახლოებით მილიონი კაცი მონაწილეობდა, ფრანგული ლა ბელგიური გაზეთების სიტყვით, ბელგიის მმართველი წრეების მიმართ „სიფრთხილეი გაფრთხილება“ გახდა. მან მთელი სიცხადით დამტკიცა, რომ არა მარტო მუშები, არამედ გლეხობიც, მოსამსახურეები და ინტელიგენციაც მტკიცედ ილაშქრებენ ბელგიის შემდგომი მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ხალხის მოძრაობის მასშტაბით შეშინებულმა ბელგიის მთავრობამ მოითხოვა იმ ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევა, რომლებიც „ყბადაღებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შემადგენლობაში შედიან. ამ მიზნით ოგი ჩაეგლოუჭა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ ხელშეკრულების 72-ე მუხლს, რომლის თანახმად ამ „გაერთიანების“ მონაწილე 6 ქვეყანაში სამხედრო სამსახურის ერთნაირი ვადა უნდა დაწესდეს.

გაზეთების უკვე პირველი კომენტარები დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის ექსპერტთა გუშინ პარიზში გაწსნილი თათბირის მსვლელობის შესახებ ცხადყოფს არა მარტო სერიოზული წინააღმდეგობის არსებობას „გაერთიანების“ სხვადასხვა მონაწილეს შორის სამხედრო სამსახურის ვადის ხანგრძლივობის საკითხზე, არამედ ამ სამხედრო ბლოკის შინაგან სისუსტესაც.

„მონდი“, „პარი პრეს-ენტრანსიჟანი“ და სხვა ბურჟუაზიული გაზეთები პირდაპირ წერენ, რომ „ამჟამად საფრანგეთი უარს იტყვის სამხედრო სამსახურის ვადის გადიდებაზე“.

გაზეთი „პარი პრეს-ენტრანსიჟანი“ აღნიშნავს, რომ რიჯუეის ამასწინანდელმა გამოსვლამ, რომლითაც მან ატლანტიკის ბლოკის მონაწილე ქვეყნებს მოსთხოვა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდება, „ხელსაყრელი გამოხმაურება“ ვერ ჰპოვა ამჟამად პარიზში გამართული თათბირის მონაწილე ქვეყნებს შორის. „საფრანგეთის პოზიცია ნათელია, — წერს გაზეთი. — სამხედრო სამსახურის ვადის არავითარი გადიდება“.

გაზეთი „სე სუარი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბელგია, რომელმაც თათბირის მოწვევა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების საკითხზე მოიხოვა, ამერიკის მთავრობის კარნახით მოქმედებდა.

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ცხადი ხდება, ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მონაწილე ქვეყნების ექსპერტთა 12 აგვისტოს დაწყებულ თათბირზე სამხედრო სამსახურის ვადის ხანგრძლივობის საკითხზე, საფრანგეთის წარმომადგენელმა აღფანმა განაცხადა, რომ „საფრანგეთს ამჟამად არ შეუძლია შეცვალოს სამხედრო სამსახურის ვადა იურიდიული, პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური ხასიათის მოსაზრებებით“.

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბრიუსელელი კორესპონდენტის ცნობით, ოთხმა ქვეყანამ (საფრანგეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და იტალია) იმ ექვს ქვეყანას შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, უარი თქვა დაეთანხმოს ბელგიის წინადადებას ამ ქვეყნებში სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების შესახებ.

როგორც საგანგებო აღნიშნავს, პარიზის თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ „ამჟამად არ შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება“ სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების საკითხზე.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის

მონტევიდეო, 13 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ელ დებატე“ სარედაქციო სტატიაში წერს, თუ რა ბრძოლაა გაჩაღებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის გასაღების ბაზრებისათვის. გაზეთი აღნიშნავს: ამ ბრძოლის შედეგებზე, რომლის დროსაც ამერიკის შეერთებული შტატები აძეგებენ თავის მეტოქეს და ხელში იგდებენ ახალ ბაზრებს, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ომისწინა და ომისშემდგომ წლებში ურუგვაის საგარეო ვაჭრობის ცნობებით. 1938 და 1939 წლებში ინგლისს პირველი ადგილი ეკავა ურუგვაის საგარეო ვაჭრობაში, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს — მესამე ადგილი. 1946 წლიდან შეერთებულმა შტატებმა პირველი ადგილი დაიკავეს ურუგვაის საგარეო ვაჭრობაში, გაძლეს რა ინგლისი მეორე და მესამე ადგილზეც კი. 1951 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წილი შეადგენდა ურუგვაის იმპორტის 28 პროცენტს და ექსპორტის 43 პროცენტს, ხოლო ინგლისის წილი — იმპორტის 12 პროცენტს და ექსპორტის 17 პროცენტს.

ჩინეთის ეკონომიური ბლოკადით, განაგრძობს გაზეთი, შეერთებულმა შტატებმა „გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ინგლისის კაპიტალს აზიაში“.

ამერიკა-ინგლისის „მეგობრობის“ უკანასკნელი ეპიზოდი იყო ჰონოლულუს კონფერენცია, რომელზეც ამერიკის შეერთებულ შტატებს ინგლისი არ მიუწვევიათ. თუ ამერიკის კონტინენტს შევეხებით, აქაც დავინახავთ, რომ შეერთებული შტატები მიზნად ისახავენ მოიშორონ და გაიძევონ თავიანთი „მოკავშირე“.

ამერიკის სამხედრო და ეკონომიური „დახმარება“, განაგრძობს გაზეთი, ლახვარს სცემს „დიდი ბრიტანეთის ძირითად ინტერესებს სამხრეთ ამერიკაში“.

ამერიკის ნავთის მონოპოლიები ყიდულობენ ირანულ ნავთს

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). „დეილი მეილის“ თეირანელი კორესპონდენტი წერს: „ეპიმმა“ (იტალიის ნავთის კომპანია) ირანთან ხელი მოაწერა წელიწადში 2 მილიონი ტონა ნავთის შესყიდვის კონტრაქტს 10 წლის ვადით, დაწყებული 1953 წლის თებერვლიდან. მეორე კონტრაქტი ითვალისწინებს 400.000 ტონა ნავთის შესყიდვას მომდინარე წელს. „ეპიმის“ მიერ შესყიდული ნავთის მნიშვნელოვან ნაწილს მიჰყიდიან ამერიკელებს რიჩარდ ნელსონსა და უოლდრონს, რომლებსაც კომპანია აქვთ დანვერში (კოლორადოს შტატი). ეს ორი სახელი მოულოდნელად და იდუმალად ამოტვიფრდა. „ეპიმის“ თეირანის კანტორის მმართველია ჯიმი რაფაელი, რომელიც წინათ დაკავშირებული იყო „სტანდარდ ოილთან“.

ამერიკელი ელჩი რჩევა-დარიგებას აძლევს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

გეირუთი, 13 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის ყოველკვირეული ორგანო „როზა ელ-იუსეფი“ 4 აგვისტოს ნომერში იუწყება:

„ამერიკის ინკარელმა ელჩმა მაკგმ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა ღონისიეებათა განხორციელებას აპირებს ინგლისი, როცა ლონდონს სადარბაზოდ იქნებიან თურქეთის პრემიერ-მინისტრი მენდერესი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კეპრიულიუ, რათა მიაღწიოს იმას, რომ თურქეთმა მხარი დაუჭიროს ხმელთაშუა ზღვაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის პოსტზე ლორდ მაუნტბეტენის კანდიდატურის და შუა აღმოსავლეთის თავდაცვის მომავალი ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნას თურქეთ-საბერძნეთ-იუგოსლავიის ბლოკი, რომელიც ინგლისს საარდლოს დაექვემდებარება.

ამერიკის ელჩმა აღნიშნა, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრიათ ამერიკის შეერთებულ შტატებს შუა აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში სტრატეგიული მდგომარეობისათვის, აგრეთვე გიჩსენა, თუ რა დახმარება გაუწიეს შეერთებულმა შტატებმა თურქეთს“.

ყოველკვირეული ორგანო აღნიშნავს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეპრიულიუმ დაარწმუნა მაკგი, რომ „თურქეთის პოლიტიკა შეესაბამება ამერიკის სურვილებს განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთის სარდლობის საკითხში“.

მღელვარება ბელგიის არმიაში

ჟაჟგა, 13 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ლე ვაჟენეიდის“ კორესპონდენტი დღეს იუწყება, რომ ბელგიის არმიაში სერიოზული მღელვარება გრძელდება სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ პროტესტებთან დაკავშირებით. ანტერპენის ყაზარმებში მოთავსებულმა ჯარისკაცებმა უარი თქვეს ოფიცრებისადმი მორჩილებაზე და ქალაქში წავიდნენ.

ქალაქ კოქსიდისა და ფლორენის აეროდრომებზე მფრინავებმა სახმელეთო არმიის ჯარისკაცებისადმი სოლიდარობის ნიშნად უარი თქვეს აფრენაზე.

მღელვარება მოხდა ტონგრში, სადაც განლაგებული ქვეითი ჯარის ნაწილი. ჯარისკაცებმა უარი თქვეს თავიანთი მეთაურების ბრძანების შესრულებაზე, ყაზარმაში რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ და წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ. სამხედრო პოლიციამ 8 ჯარისკაცი დაპატიმრა.

როცა „არდენის ეგერთა“ მეორე ბატალიონმა მიიღო ბრძანება „დაეწყნარებინა“ მეზობელი ნაწილის ჯარისკაცები, ბატალიონის ჯარისკაცებმა უარი თქვეს ამ ბრძანების შესრულებაზე. მათ ძალად გაიყვეს სამხედრო დაბის კარი და ქალაქში წავიდნენ.

ბეეერლოში განლაგებული „არდენის ეგერთა“ პოლკის მეორე ასეულის 120 ჯარისკაცსა შიმშილობა გამოაცხადა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ბრიუსელი, 13 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „დრაპო რუჟე“ იუწყება, რომ გრძელდება ბელგიელ ჯარისკაცთა მღელვარება დასავლეთ გერმანიაში.

ალანენის ყაზარმაში სტიქიური დემონსტრაციები გაიმართა. ჯარისკაცები მოითხოვდნენ სამხედრო სამსახურის ვადის გადიდებაზე უარის თქმას და მღეროდნენ „ინტერნაციონალს“.

230-ე ასეულის ჯარისკაცებმა ვერდოლში ყაზარმის მთელ კედლებს წაწერეს ლოზუნგები სამხედრო სამსახურის ვადის გადიდებაა წინააღმდეგ. ყაზარმაში ჩხრეკა ხდება.

კომენდანტმა გაუტქმა სხვადასხვა შეღავათი და იმუქრებოდა, თუ ჯარისკაცები ამ გამოსვლებს არ შეწყვეტენ, დამატებითს შვებულებებს გაუტქმენ და საპყრობილეში ჩავსვამ იმათ, „ვინც ავიტაციას ეწევიან“.

ბრიუსელი, 13 აგვისტო. (საკდესი). ბელგიის პრესა იუწყება, რომ ჯარისკაცები კვლავ ილაშქრებენ სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ.

ჯარისკაცი ლონუა, რომელიც სამსახურს იხდის დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ჯარებში, სამხედრო სამართალში მისცეს იმისათვის, რომ მან შაქარი ჩაყარა 28 სამხედრო ავტომანქანის ბენზინის ავზებში. სასამართლომ 3 წლის პატიმრობა მიუსაჯა ლონუას.

X საჭადრაკო ოლიმპიადა

ჰელსინკი, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს მესამე ნახევარფინალურ ჯგუფს, რომელშიც საბჭოთა გუნდი თამაშობს, გამოსასვლელი დღე ჰქონდა. გროსმაისტერი კერესი გადადებულ პარტიას ეთამაშებოდა ჩერნიაკს (ისრაელი). დილის საათებში ამ პარტიის დამთავრება ვერ მოხერხდა და 90 სვლის შემდეგ ოგი კვლავ გადადო, მაგრამ საღამოს, შინ ანალიზის გაკეთების შემდეგ, მოწინააღმდეგენი, ბოლოს, ყაიმზე შეთანხმდნენ. სამი ტურის შემდეგ მდგომარეობა ამ ნახევარფინალურ ჯგუფში ასეთია:

საბჭოთა კავშირს აქვს 10,5 ქულა თორმეტში, ჰოლანდიას —8,5, ფინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შვიდ-შვიდი, ისრაელს —5, პოლონეთსა და შვეიცარიას 3,5 თვითეულს, საბერძნეთს —3 ქულა.

პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში გაიმართა მეოთხე ტური, ჩეხოსლოვაკიამ 3 პარტია მოუგო დანიას. ინგლის-კუბის მატჩის ანგარიშია 1,5:1,5. ამ შეხვედრებში თითო პარტია გადადებულია. არგენტინა ჯერჯერობით უგებს ისლანდიას ანგარიშით 2:0. დასავლეთ გერმანიის გუნდისა და სპარის გუნდის შეჯიბრებაში დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია (დასავლეთ გერმანიის სასარგებლოდ). ამ ჯგუფში წინ არიან დასავლეთი გერმანია, რომელსაც აქვს 11 ქულა ცამეტში და 3 გადადებული პარტია, არგენტინა—11 ქულა თოთხმეტში და 2 გადადებული პარტია, ჩეხოსლოვაკია—7,5 ქულა თერთმეტში და ერთი გადადებული პარტია.

მეორე ჯგუფში გაიმართა მესამე ტური. ძლიერ მალე დამთავრდა ყაიმით უნგრეთ-შვეიცის ყველა პარტია. იტალია-იუგოსლავიის შეხვედრაში ორი პარტია დამთავრდა აგრეთვე ყაიმით, ორი პარტია გადადებულია. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნორვეგიას მოუგო ანგარიშით 2,5:0,5, ერთი პარტია გადადებულია. ამ ჯგუფში ლიდერია შვეიცია—10 ქულა თორმეტში, შემდეგ მიდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა —8 ქულა თერთმეტში, უნგრეთი —7,5 თორმეტში, იუგოსლავია—6 ქულა ათში.

მშვიდობის დაცვის სრულიად იაპონიის კონგრესის მომავალი მონვეცა

ტოკიო, 13 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის დაცვის იაპონიის კომიტეტი 10 სექტემბერს ტოკიოში იწვევს მშვიდობის დაცვის სრულიად იაპონიის კონგრესს.

დასავლეთ გერმანიის შაშისტების თავხედობა დანიაში

კოპენჰაგენი, 14 აგვისტო. (საკდესი). 12 აგვისტოს გაზეთ „ინფორმაციონის“ ცნობით, ჩრდილოეთ იუტლანდიის სამხედრო-საზღვაო რაიონის სარდლობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ფრედერიკსჰავნში ამერიკის ხომალდებით ჩამოსულმა დასავლეთ გერმანიის სამხედრო მეზღვაურებმა პროცესია მოაწყეს დანის ოკუპაციის პერიოდის გერმანელთა საფლავებისაკენ და საფლავები შეამკეს გვირგვინით, რომელსაც ჰკრნდა წარწერა „დიღუპულ ამხანაგებს!“.

პროტესტი გადაეცა იმ ხომალდების ამერიკელ ოფიცრებს, რომელთა პირადი შემადგენლობა მოლიანად დასავლეთ გერმანიის სამხედრო მეზღვაურებისაგან შედგება.

ბრაზილიის პოლიციამ გაფიცულ მუშებს სროლა აუგზავნა

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან გადმოგვცემს:

გუშინ ქალაქ რიო-გრანდეში მუშაობა შეწყვიტეს სახელმწიფო დაწესებულებებმა, ტრანსპორტმა, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებმა, რადგან გაფიცვამ, რომელიც რიო-გრანდე-დო-სულის შტატს მოედო, ამ ქალაქამდეც მიაღწია. გაფიცულთა წინააღმდეგ გამოიყვანეს არმიის ნაწილები და სპეციალური სამხედრო ბრიგადა.

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, გუშინ 1000-ზე მეტი გაფიცული რიო-გრანდეში გარს შემოერტყა პოლიციის უბანს და მოითხოვა გაფიცვის 15 დაპატიმრებული მონაწილის განთავისუფლება.

პოლიციამ სროლა აუტეხა ხალხს, 2 კაცი მოკლულ იქნა და 12-ზე მეტი დაიჭრა.

საგაფიცვო მოძრაობა თურქეთში

სტამბოლი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ენი ისტამბული“ იუწყება, 11 აგვისტოს ისკენდერუნში ნავსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. როგორც გაზეთი აღნიშნავს, გაფიცვა იმის გამო დაიწყო, რომ ადმინისტრაციამ უარი თქვა ხელფასის გადიდებაზე.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში გოგონათა და ბიჭუკა გუნდები.

გამარჯვებული საქართველოს კალათბურთელ ფოტო ვ. გინზბურგისა.

მსოფლიო პირველობა ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საბჭოთა კავშირის ფრენბურთის სექციას მიანდო წელს მოაწყოს შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის. მსოფლიოს უძლიერეს ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება მოეწყობა მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე 17-დან 29 აგვისტომდე.

მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის პირველად ეწყობა. დღემდე ევროპის უძლიერესი ქალთა გუნდები ერთმანეთს შორის გაითამაშებდნენ ხოლმე ევროპის პირველობას. უკანასკნელ შეჯიბრებაში, რომელიც 1951 წელს გაიმართა პარიზში, ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა.

ვაჟთა გუნდებს შორის მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში მეორედჯერ ეწყობა. პირველ შეჯიბრებაში, რომელიც 1949 წელს გაიმართა პრაღაში, გამარჯვებული გამოვიდა სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი, რომელმაც მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ფრენბურთში. (საკდესი).

საქართველოსა და ლეგვიის კალათბურთელთა შეხვედრა

13 აგვისტოს კიროვის სახელობის პარკში შედგა ორი მომმე რესპუბლიკის—საქართველოსა და ლატვიის მოზარდ კალათბურთელთა ნაკრები კოლექტივების ამხანაგური შეხვედრა.

პირველ ასპარეზობაში ერთმანეთს შეხვდნენ კალათბურთელ გოგონათა გუნდები. შეჯიბრება საქართველოს კალათბურთელთა უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 41:32.

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ლატვიისა და საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება. შეხვედრა დამთავრდა ლატვიელ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 35:27.

საავტომობილო მხატვრული ბრიგადების ჩამოყალიბება

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა დმანისის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში თვითმოქმედი მხატვრული წრეებისათვის დახმარების გასაწევად და ახალი საავტიციო-მხატვრული ბრიგადების ჩამოსაყალიბებლად გაგზავნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ციცაგი და მუსიკათმცოდნე დ. ჭუკასელი.

დმანისისა და ბოლნისის რაიონებში ჩამოყალიბებული ახალი ბრიგადები უკვე გავიდნენ მინდვრად სამუშაოებზე კოლმეურნეთათვის მომსახურების გასაწევად.

2 სექტემბრიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრში

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი თავის ახალ სეზონს გახსნის 2 სექტემბერს. წარმოდგენილი იქნება მ. ალიგერის პიესა, რომელიც ასახავს დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილის ზოია კოსმოდემიანსკაიას ცხოვრებას. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ეურულს.

მოშავალი სეზონისათვის თეატრის კოლექტივს საინტერესო და შინაარსიანი შემოქმედებითი პერსპექტივა აქვს დასახული. სეზონის პირველ ნახევარში ნაჩვენები იქნება დიმიტრიასა და პერსონოვის „დიდი ერეტიკოსი“, რომლის დადგმაზე უკვე მუშაობს გ. ეურული. საშუალო და უმცროსი ასაკის მაყურებელთათვის განახლებული იქნება გ. ნახუცრიშვილის „პატარა მეომრები“, ნ. ოკროპირიძის „გაქცევებული ქალაქი“ და ვ. დარასელის „კოკვიძე“.

თეატრის კოლექტივი ამასთან შეუდგა მუშაობას ი. არაყიშვილის „უკანასკნელი ორიანის“, გ. გოგიჩაშვილის „მეშვიდეკლასელების“, ნ. ოკროპირიძის „ვანოს დანაშაულისა“ და სხვა ახალ დადგმათა განსახორციელებლად.

ფეხბურთი

13 აგვისტოს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა „კრილია სოვეტოვის“ კუიბიშევის გუნდს, რომელიც უკანასკნელ წლებში სხვა გუნდებზე უფრო ხშირად ამარცხებდა არმიელ ფეხბურთელებს.

ამჯერად საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა თამაში მოიგო ანგარიშით 4:2.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: კომუნისტური მორალის მქადაგებელი — „პრავდის“ 14/VIII მოწინავე.

ა. აღლაძე — ორთაჭალჰესის მშენებლებთან.

ზ. მერკვილაძე — ძმები აბულაძეები.

საბჭოთა კავშირში. სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი: ი. კვაკსაძე — ავიღოთ მოსავალი დღისით და ღამით. რ. ქორქია — მოხისი. გ. კირიკოვი — უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანა.

მესამე გვერდი: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ს. გეფულსაანი — „მოთხრობა თურქეთზე“. ფეულეტონი — ს. სარაული — მქუხარე სახელი. მკითხველთა წერილები — ვ. ივანიძე — გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 17 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, კიროვის სახელობის პარკის საზაფხულო კინოთეატრის შენობაში აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ხაკაშვილის საჯარო ლექციას თემაზე: **„დიდი რუსი მეცნიერის ი. პავლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“.**

ბილეთების წინასწარი შეძენა შეიძლება საზოგადოებაში (ჯაფარიძის ქ. № 4) და რწმუნებულებთან, ლექციის დღეს საღამოს 6 საათიდან — სალაროში.

რედაქტორის მოადგილე გ. მელაძე

საქართველოს რადიოინფორმაციის 16 აგვისტოს გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ჩაიკოვსკის ნაწარმოებები; 07.30 — მუსიკალური ანტრაქტი; 09.20 — კომპოზიტორ აშრაფის სიმღერა ბედნიერებაზე; 11.00 — ქართული ხალხური სიმღერები მახარაძის და ბულაძის შესრულებით; 11.25 საუბარი: „კურორტი შოვი“; 12.15 — შუბერტის საფორტეპიანო ნაწარმოებნი; 12.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები საკავშირო რადიოკომიტეტის სოლისტის ნეჩაევის შესრულებით; 17.15 — ნაწყვეტები ბოროდინის ოპერა „თავად იგორიდან“; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — კონცერტი რადიომსმენელთა შეკვეთით; 19.20 — ნაწყვეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „ლ